საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 55 04/11/2019

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **3** ივლისის **#50/44** განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ " ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63–ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის # 50/44 განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" დანართი #2 -ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 2 . საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმას დაემატოს სოფელ ვარძიაში მდებარე 145 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.11.33.461). ღირებულება-700 ლარი.

მუხლი 3.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე